მსოფლიოში ცნობილი არქიტექტურული ნიმუშების გასაფერადებელი

გზამკვლევი მასწავლებელს

მოამზადა თათია ბარბაქაძემ
დიზაინი: ხათუნა ციხელაშვილი

2023 წელი

საფეხური: დაწყებითი

რესურსის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, ნამუშევრის შექმნა

სარეკომენდაციო თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩემ გარშემო

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და საკითხის გააზრებას.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: აქტიურდება წინარე ცოდნა: მოსწავლეები წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების მაგალითზე გაიხსენებენ განვლილ მასალას არქიტექტურის შესახებ. ამავდროულად, ბავშვები შეეცდებიან ნამუშევრების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.



რესურსის გამოყენების ინსტრუქცია:



ნაბიჯი 1. აქტივობის დაწყების წინ საჭიროა, რომ მასწავლებელმა რესურსი (პრეზენტაცია) ფერადი პრინტერის დახმარებით ამობეჭდოს და გაკვეთილის დაწყებისას ბავშვებს დაურიგოს.

ნაბიჯი 2. თავდაპირველად, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომ მათთვის ცნობილი შენობა-ნაგებობები დაასახელონ. მაგალითად, სკოლის შენობა, სპორტული სტადიონი, საცხოვრებელი კორპუსი, ოდა სახლი, სვანური კოშკი, თბილისის სატელევიზო ანძა, საკონცერტო დარბაზი და ა.შ. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დროს (2 წთ.) და სთხოვს ამობეჭდილ ნამუშევრებზე (სლაიდებზე) დაკვირვებას. ამ პერიოდში მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და ემზადებიან კითხვებზე პასუხის გასაცემად.

ნაბიჯი 3. სლაიდების გამოყენებით მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ:

1. განსაზღვრონ რომელი ეპოქის (ძველი თუ თანამედროვე) ნამუშევრებია მათ წინაშე წარმოდგენილი;
2. მოიყვანონ მაგალითები რა დეტალებით/ ატრიბუტებით ამოიცნეს ძველი/ თანამედროვე ეპოქა;
3. შეეცადონ წარმოდგენილი არქიტექტურული შენობა-ნაგებობების აღწერასა და მათი ფუნქციის განსაზღვრავს,

პრაქტიკული სამუშაო

ნაბიჯი 1. მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები პრაქტიკული დავალების შესრულებას იწყებენ. პრაქტიკული სამუშაოს მიზანია, მსოფლიოში ცნობილი შენობა-ნაგებობების გაცნობა, ფუნქციის განსაზღვრა და საკუთარი ნამუშევრის შექმნა. მოსწავლეებმა წარმოდგენილი ნამუშევრებიდან მიიღებენ შთაგონებას (ინსპირაციას) და შექმნიან (გააფერადებენ) საკუთარ სურათებს. მოსწავლეები ფერების არჩევაში სრულიად თავისუფლები არიან. შესაბამისად, არ არის აუცილებელი ორიგინალი ნამუშევრების ფერწერული გამეორება.

ნაბიჯი 2. მოსწავლეები ირჩევენ მასალას, ფერს და იწყებენ გაფერადებას. გაფერადების დასრულების შემდეგ ბავშვებმა წარმოდგენილი არქიტექტურული ნიმუშების ფუნქცია უნდა განსაზღვრონ.

პრაქტიკული სამუშაო

ნაბიჯი 3. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა საკუთარი ნამუშევრები უნდა წარადგინონ. ბავშვებმა უნდა ისაუბრონ გაფერადებული არქიტექტურული ნიმუშების ფუნქციაზე.

მასწავლებლის უკუკავშირი: :
აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ბავშებს უხსნის, რომ დროის სვლასთან ერთად შენობა-ნაგებობების ფორმა, მოცულობა, ფასადის გაფორმება, ინტერიერი (შიდა სივრცე) და ა.შ. იცვლებოდა. ეს დამოკიდებული იყო ადამიანების შეხედულებების, რწმენა-წარმოდგენების ცვლილებასა და ყოფითი ცხოვრების საჭიროებებზე.